

თავი 1

საწყისი დებულებები და ტერმინთა განმარტებები

მუხლი 1.1. თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა

მხარეები, GATT 1994-ის XXIV მუხლისა და GATS-ის V მუხლის შესაბამისად ქმნიან თავისუფალ სავაჭრო სივრცეს.

მუხლი 1.2. სხვა შეთანხმებებთან ურთიერთქმედება

მხარეები ადასტურებენ თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს WTO-ს შეთანხმებიდან და სხვა WTO-ს ფარგლებში მოლაპარაკებული შეთანხმებებიდან, რომელთა მხარესაც ორივე მხარე წარმოადგენს და ყველა სხვა საერთაშორისო შეთანხმებიდან, რომელთა მხარესაც ორივე მხარე წარმოადგენს.

მუხლი 1.3. მოქმედების სფერო¹

1. ჩინეთთან მიმართებით, წინამდებარე შეთანხმება ვრცელდება ჩინეთის მთელ საბაჟო ტერიტორიაზე, მათ შორის სახმელეთო ტერიტორიაზე, ტერიტორიის ზემოთ არსებულ საჰაერო სივრცეზე, შიდა წყლებზე და ტერიტორიულ წყლებზე, ისევე როგორც მათ ფსკერზე და წიაღისეულზე, და ნებისმიერ ტერიტორიაზე ტერიტორიული ზღვის ფარგლებს გარეთ, რომელთა მიმართ ჩინეთი შესაძლოა ახორციელებდეს სუვერენულ უფლებებს და/ან იურისდიქციას საერთაშორისო სამართლისა და მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად;
2. საქართველოსთან მიმართებით, წინამდებარე შეთანხმება ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, როგორც ეს დადგენილია საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, მათ შორის სახმელეთო ტერიტორიაზე, მის წიაღსა და საჰაერო სივრცეზე მის ზემოთ, შიდა წყლებსა და ტერიტორიულ წყლებზე, ზღვის ფსკერზე, მის წიაღსა და საჰაერო სივრცეზე მათ ზემოთ, რომელთა მიმართ საქართველო ახორციელებს სუვერენიტეტს, აგრეთვე ტერიტორიულ წყლებთან მომიჯნავე მიმდებარე ზონაზე, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაზე და კონტინენტურ შელფებზე, რომელთა მიმართ საქართველო ახორციელებს სუვერენულ უფლებებს და/ან იურისდიქციას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.
3. თითოეული მხარე ვალდებულია სრულად დაიცვას წინამდებარე შეთანხმების დებულებები და მიიღოს მის ხელთ არსებული ყველა გონივრული ზომა ადგილობრივი

¹ წინამდებარე მუხლი გამოიყენება მხოლოდ წინამდებარე შეთანხმების განხორციელების მიზნით.

მთავრობისა და საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედ ხელისუფლების ორგანოთა მიერ აღნიშნული დებულებების შესრულების მიზნით.

მუხლი 1.4. ზოგადი განმარტებები

თუ სხვაგვარად არ იქნა დადგენილი, წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის:

- (a) **დღეები** ნიშნავს კალენდარულ დღეებს;
- (b) **არსებული** ნიშნავს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისთვის მოქმედს;
- (c) **GATS** ნიშნავს გენერალურ შეთანხმებას მომსახურებით ვაჭრობის შესახებ, რომელიც მოცემულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმების 1B დანართში;
- (d) **GATT 1994** ნიშნავს 1994 წლის გენერალურ შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ, რომელიც მოცემულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების 1B დანართში;
- (e) **ზომები** ნიშნავს ნებისმიერ შიდასახელმწიფოებრივ კანონს, რეგულაციას, პროცედურას, მოთხოვნასა თუ პრაქტიკას;
- (f) **WTO** ნიშნავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას; და
- (g) **WTO შეთანხმება** ნიშნავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ მარაკეშის შეთანხმებას, რომელიც შესრულდა 1994 წლის 15 აპრილს ქ. მარაკეშში.